

33 /  
1920/09  
ეროვნული  
კულტურული გამზღვის  
აკადემიური თავობა



გვირგვინოსანი სასიძლები.

ა  
13

1920 წ.  
თებერვალი. 15



1920

ქ-ნი ანტანტი. (პუნგრეთს) აბა, ჩემო ვოვონა, ამოირჩიე ამათში რომელი უფრო მოგწონს?  
პუნგრეთი. ორივე წყალმა წაიღის.

## ქ რ ე ბ უ მ ო.

გუშინწინ განსაკუთრებულის ხალისით მივდიოდი დამფუძნებელ კრებაზე დასასწრებლათ. ვფიქრობდი:

— მივალ, ვნახავ, ან შენებლია, ან გობეჩია სიტყვას იტყვის და ამ ჯავრიან გულს გადავაყოლებ მეთქი.

როგორც ხედავთ, განზრახვა სრულიად უმანკო და უპრეტენზიონ მქონდა.

ჯერ კიდევ თორმეტი საათიც არ იყო, როცა სასახლის კიბეს შევუდექი. ამ დროს ჩვეულებრივთ ეორები მაღალოვან დადის ოთახიდან ოთახში და აგონებს დეპუტატებს სხდომის დასაწყისის მოალოებას.

დღეს კი სწორეთ შუა კიბეზე შემეხერა ჩემი მეგობარი ზიპო და ჩვეულებრივის მხიარულებით გადმომდახა:

- საით, ეშმაკო?
- დამფუძნებელ კრებაზე, ჩემო კარგო.
- კრება დაიხურა!
- რას ამბობ, ზიპო? როგორ თუ დაიხურა?
- ქვორუმი არ დარჩა!

კირის თვალში დამნამა. სიტყვა „ქვორუმი“ ვერ გაფიგე. თავმომწონე კაცი ვარ: კითხვაც შემჩრევა. ახ, ღმერთო ჩემო, ეს როგორ მოხდა, ზიპომ იცის ეინ არის ქვორუმი და მე კი არ უნდა ვიცოდე? არა, არა, კითხვა არ შეიძლება, ეს თვეის მოქრა და სირცხვილის ჭამა იქნება.

— რატომ არ დარჩა, მეგობარო?

— არ მოვიდა.

— შე კაი კაცო არ მოვიდა რა.. მისი ნება თუ იქნება, არასოდეს არ მოვა.

— არ მოვა და რას უზამ...

— როგორ თუ რას უზამ... დავიკერ და ისე მოვიყვან.

— რომელ ერთს დაიქერ, რომც დაიქირებოდეს.

მაგრამ დაქერაც არ შეიძლება.

ამ მცირე ლაპარაკიდან მე უკვე გავიგე რომ ქვორუმი ბევრი ყოფილა და ცნობის მოყვარეობა უფრო გამეზარდა.

— დიოომ რა იქნება რომ დავიკიროთ. უცხოელიც რომ იყოს...

— უცხოელობა არაფერია, ჩემო ეშმაკო, საქმე შეუვალობაა.

— თუ არსად არ შედის, პირდაპირ ქუჩაში მოკიდეთ ხელი.

— შედის, როგორ არ შედის, შე კაცო, მაგრამ თითონ არის შეუვალი, ხელს ვერავინ ახლებს.

— ლონიერია?

— რას ლონიერი, რას ამბობ. კანონითა აქვთ მინიჭებული ასეთი უფლება. ყველაფერი მისი ნებაა.

პირდაპირ დავიბენი. თითქმის ყველაზე მდიდარი ბობის პირს ვიცნობ ამ ქალაქში, მაგრამ ეს ქორუმი, რომელსაც ასეთი შეუვალობა ჰქონია, საღვამომებარა, ვეღარ გავიგო.

— თუ მასთან ალარაფერი გადის, რატომ არ სთხოვთ, ჩემო ზიპო?

— თხოვნა ყიყლაზე ნაკლებ გადის, ჩემო ეშმაკო, თორემ პრეზიდიუმი თხოვნის მეტს რას აკეთებს.

— მაშ რას აპირობთ?

— წარმოიღინე, უენთისაც გვინდოდა გვეთხოვა, რომ ერთი „ეშმაკის მათრახში“ გამოხატოლაზათიანად.

— დიდის სიამოვნებით, მაგრამ სურათს ვინ იშოვნის. ხომ იკვე უსურათოდ შეუძლებელია.

— მთელ გრუპპას მოგცემ, ყველანი იქ არიან.

— ქვორუმები?

— ა?

— ვინ არიან გრუპაში?

— დეპუტატები.

— მერე?

— მერე დახატე.

— კი მაგრამ ქვორუმი?

— ეგ შენ უნდა გამოიყვანო.

აუწერელ უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდი! ისეთ გუნდებაზე ვიყავ, რომ თუკი მაშინ ქვორუმს სადმე გადავყროდი, პირდაპირ შემომაკვდებოდა. გამოვეთხოვე ზიპოს და ფრაქციის ოთახში ანტიკოსთან მივიჭრ.

— ანტიპოს გაუმაუჯოს.

— გაუმარჯოს ეშმაკს.

— ასე ადრე რათ დაიხურა კრება?

— ქვორუმი არ შესდგა.

— ვითომ რა მინდაო?

— ვერ ასწრებენ, ჩემო ეშმაკო?

— რა ცალები ჰყიდიათ?

— ყველანი სამსახურში არიან, პასუხსავებ სამსახურში..

— მაინც?

— მაინც... ქალაქთა კავშირში, ერობებში, საბჭოში..

მე თვალები დავაჭური, ალრინდელზე კიდევ უფრო დიდ საგონებელში ჩავარდი. ქალაქთა კავშირში ნიკო და მელიტონი მსახურებენ. ნუ თუ ესენი არიან ქვორუმები?. დასწეველოს ღმერთმა, იქნებ ახლა მოიგონეს ასეთი სახელი! არც არავინ ერობის მოსამსახურეთაგანი არა ჰერცე ქვორუმს. შეიძლება ქალაქის თავი.. არა, არც იმაზე ითქმის.

თავბრუ დასხმული მოგბრუნდი და შინისკენ გამოვეშურე. თაროზე ტეხნიკურ საზოგადოების მიერ გამოცემული სიტყვარი მეგულვებოდა და მთელს იმედებს იჩაზე ვამყარებდი.

— კვ... კვ... კვ... გულის ფანცელით ვიმე-



ორებდი და მთრომლავი თითებით ვფურცლავდი  
სიტყვარს.

- კვადრანტ — წრიოთხედი..
- კვადრატ — წესფართი..
- კვასკი — შაბი.
- კვაშენიე — ფუება...
- კვიტანცია — ქვითარი..

ქვორუმი კი არსად! ქვორუმი კი არსად!  
აღმათ ამ სამწუხირო ამბავმა გული შემიწუხა,  
ვინაიდან, როცა გონს მოვედი, საწერ მაგილაზე  
მელნის ტბა იდგა და შიგ ეს ფელეტონი ცურაობდა.

ეშვაკო.

## შექანჯალებულის ლექსი.

### I.

ჰო, ჰო, ჰო, ჰო!! როგორ ცივა!!  
უჱ, უჱ, უჱ, უჱ,!! როგორ ყინავს!!  
ჩემი ტვინი გაუყინავს,  
და კოსროს ქვეშ ყვავი ფრინავს...  
რო ვენა, ლამით რომ არ მძინავს,  
მცივა, ტანი მთლად მიზრება,  
ვინ მოსთვლის რა მესიზმრება,  
რა ვენა, ძილში ვიცი შფორვა,  
წუხელ ასე ვიწყე ბოდვა:  
„რატომ ელტვით ყველა თბილისს,  
სიძეირეა ძმავ, აქ ფქვილის,  
ვერ იტოვნით სანოვაგეს,  
მოკვდეთ, პასუხს ვანო აგებს?.  
ყველამ აქ რომ მოირბინოთ,  
ვერ იცხოვრებო ხომ უბინოთ,  
ისევ გადაგასახლებენ...—  
რაო?!! ხელისაც ვერ გახლებენ?!?  
აღმად მზად გაქვს შენ აღგილი,  
გეყოლება აქ ძმობილი,  
ამ მომენტში დიდი „მსხვილი“,  
ან მოყვარე, ნათლობილი,  
ან და შენი გვარის შვილი—  
მაშინ გელის ყოფნა ტკბილი,  
ჭამა-სმა და ბინა თბილი.  
შეგობარი, ძმავ, ბევრს ნიშნავს:  
— ხელი ადგილზე დაგნიშნავს,  
„მოგათავსებს“ უცებ საღმე,  
მიტომც ერთ სტოლს ორმოცამდე  
გარს უსხედან ქალ-ვაჟები,  
მეკირცხლები და გირმაჟები,  
თითქოს ქონდეს მათ ქორწილი!..  
რატომ აგიტუდა სიცილი,  
შენს პირს შემწვარი წისქვილი!..  
ერთი გობი ქარო ფქვილი...

### II.

დიპტი-პიტო, დიპტი-პიტო...  
დიპტი-პიტო, დაპთი, დაფთი!

გაგვიძვირდა უცებ — ნავთი,  
როთ მოყხარშო მაშ, საჭმელი,  
ჩემს ოთახში უკუნ = ბნელი...  
მენდეს მაინც ელექტრონი!!  
როგორ წახდა უამი, დრონი...  
რომ არა გვყავს ჩვენ პატრონი...  
მაინც, მეონდეს ტელეფონი,  
შორს მანძილზე გასაგონი,  
ქალებს უწყო მასლაათი:  
თებრო, კესო და აღათი  
ხშირ-ხშირად გამოვიძახო,  
და გავიგო საქმე მათი:  
თეატრში თუ მიღის ნატო,  
კაბას თუ იკერავს კატო,  
ან ხომ არ მემღურის ნინა,  
ჩემმა ძალმა რომ უკბინა...  
ვაჟე... ეშმაქმა მირქინა,  
ქეუა ძალზე ამატკინა.  
ჩამაფრქვიეთ ცხვირში ქინა,  
თაგბრუ მესხმის... დამეძინა!

### III.

ლალე, ლალე, ლალე...  
მითხარ, გენაცვალე,  
ჩემი „საქმები“  
მაუდს ქვეშ დამალე?!?  
შემისრულეთ მალე,  
აქ სვლით დავილალე,  
მოკვდი, შემიბრალე!  
— ლალუ, ლალუ, ლალე!!  
კიდევ მოდი ხვალე!!  
გესმის? მოდი ხვალე!!  
გული გამიწყალე,  
გასწი, გამეცალე,  
ნერვი ამიშალე!!!.

### IV.

ჰერი, ბიჭო, ჰერი, ჰერი!!  
ზეიმებზე დავითვერი!!  
თებრო, გულქან, გერასიმე,  
ხომ კი, კარგად ვიზეიმედ!  
გავითუყეო, გავიჭიმეთ:  
იქ ზეიმი, აქ ზეიმი,  
დღეს ზეიმი, ხვალ ზეიმი,  
ზეგ ზეიმი.. სულ ზეიმი.  
ჩემი ცოდვა, ბრალი ჩემი..  
საქართველო, ძმავ ყველგანა,  
იცვნეს, ხუმრობაა განა!  
ჩვენზე ხმაურობს ქვეყანა!  
ნანი — ნანა — ნანი — ნანა —  
ზეიმს გარდა რაღა გვინდა!  
საქმე ხომ კი დაგვირგვინდა!!  
გაშ, ზეიმი!! სულ ზეიმი—  
სხვა მეტი რა დაგვრჩენა!

ბანი მითხარ, გირჩევნია,  
პირი რომ დაგიფჩენია!!

IV

გჭლა ძმაო, ვინც ქაცია,  
ბეჯითი და შამაცია,  
და არ ჩემებრ ზარმაცია,  
უყვარს სტეკულიაცია,  
დღეს სულ ყველა ბაცაცია,

სხვას გააძვრეს, რაც აცვიათ,  
მე კი, რაც მაქვს უნდა ვყიდო,  
დაილოცე ღმერთო დიდო,  
სადარს შენი სამართალი,  
მე შშიან და ის კი—მთვრალი!!!  
თავში ხვლიკი მყავს შემძვრალი.  
ჩემი ცოდვა, ჩემი ბრალი.—

ეროვნული  
ბიბლიოთეკი

შექანჯალებული.

## ორგვარი სახე სტეკულიანტებისა (როსტოვის ქურნალიდან.)



არა სასურველი



სასურველი

## „ემაპის მათრახეის“ პანცორისაბან.

ამიერიდან „ემაპის მათრახეი“ ღირს თვეში 40 მანეთი, თითო ნომერი 10 მან. ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ 3 თვით. ხვედრი ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გამოგზავნონ.

იმ ხელის მომწერლებმა, რომელთაც ქურნალი დაკვეთილი აქვთ დაუეონებლივ უნდა გამოგზავნონ ზედმეტი 16 მანეთი უოგელი თვისა მომატების დღიდან.

რედაქციისა და კანცორის მისამართი: თვილისი, რუსთაველის პროსპ. № 24. „მათრახისათვის“.

## ო ი ნ ი.

(საიუბილეო შოთხრობა).

აგერ მეხუთე დღე თენდებოდა, რაც დარისპან ქარსიდე და კაროენა, მისი ქალიშვილი, სოფელ მალლაშენში იყვნენ სტუმრად, კირილე მიმინაშვილის ოჯახში და როგორც ეტყობოდათ, ჯერ დიდ ხას არ აპირებდნენ აქედან დაძრას. თითონ კირილე ამ სამი დღის წინ სხვაგან წავიდა, ოტია ქამუშაძის დედის, ეკვირინეს, სატირალში, და კირილეს ცოლი, დარიკო სამანიშვილის ქალი, მრტო ფუსტუსებდა ოჯახში.

„არ გააგდეს ძვალი ამ სასიკვდილეებმა!.. რომ არ იქნა ამგენის წასვლა! მთელი თავისი დღე და წუჟაისოფელი ასე უნდა იყიალონ სოფლიდან სოფელში და ერთი ოჯახიდან მეორეში, დეიქუა მაგენის ოჯახი, რაგარც კი დაქცეული! ქვეყანას აწუხებენ და თავხაც ვერაფერი უშველეს! რომ ვეღარ მიხვდა ეს მიუმხვდარი, რომ მის დამეუკებულ გოგოს ალარავინ თხოულობს! იმის ჭეუა მაინც რატომ არა აქ, რომ ძველი დრო აღარ არის, ფუთი დაუქვილი 20 თუმანი შეიქნა და ორი კაცის შენახვას ორი მგლის შენახვა სჯობია ჩვენ ღროში!“

ასე წუწუნებდა მარტო თავის ამარა მიტოვებული წვრილშვილიანი დარიკო, მაგრამ პირდაპირ არა თუ ერადუერს ეუბნებოდა აბეზარ სტუმრებს, სულ თაფლი მოსდიოდა პირში და მომხიბლავი ღამილი უთამაშნებდა სახეზე, ლაპარაკს რომ დაუწყებდა.

— მოგიკვდა ჩემი თავი, ბატონო დარისპან! ბარებ ვაცი, რომ შენ საკადრისათ ვერ გაგიმასპინძლდი, მარა რა გეეწყობა! თქვენ ოლონდ ჩემი ოჯახიდან წაბრძანებას ნუ ინგებთ ჯერ, აგერ ჩემი კაციც დაბრუნდება სატაცა და მაშინ სულ სხვანაირათ დატრიალდება საქმე!.. შენ მაინც ნუ მომიწყენ, ჩემო კაროენა, დაგენაცვლის შენი დარიკო, ვინ იცის, შენი ილბალი აქ, ამ ჩვენ მალლაშენშია, სადმე დამალული და გიდარაჯებს! ნუ მომიწყენ, ჩემო კაროენა, შენი ჭირი შემეყაროს!

კაროენა თავხალუნული იჯდა ფანჯარასთან და წარბებ ქვეშიდან გამყურებდა უაზროდ თოელით დაფენილ გზას და მოლრუბლულ ცას. დაუსრულებელ ხეტიალს და ნიადაგ გათხოვებისთვის ზრუნვასა და ფიქრს ისე გამოელაყებინა მისი გონება, რომ სხვა რაზედმე აზრის შეჩერება და ტვინის განძრევა აღარ შეეძლო გულ-გრილად ისმენდა იგი დარიკოს სიტყვებს, პასუხისმომავალის ენის მობრუნებაც კი უჭირდა და იჯდა ისე უძრავად, თითქმ მას კი არა, ვისმე სხვას ელაპარაკებოდენ. ტკბილად მოუბარ დარიკოს კი გულზე ცეცხლი ედებოდა და განსაკუთრებულ სიძულვილს კაროენა-სადმი გრძნობდა: თავიდან არ შე არდა ის აზრი,

რომ კაროენამ მას უკანასკნელი შუშის ჭიქა გუ-ტება გუშინ წინ ხალამოს...

უცებ სახლში შორეული სიმღერის ხმა შემოირა. დარიკომ ყურები დაცვიტა, ერთ წუთს შედგა მექებარივით და კარში გავირდა.

დარიკო არ შემცდარა. სიმღერა თან და თან ახლოვდებოდა და რაღაც ორი წუთის შემდეგ ეზო-ში შემოჯირითდა თავის ლამაზ, წაბლის ფერ ცხენით ძალზე შეზარხო შებული კირილე.

— მისთვის მიყვარს ნარიმანი, სიმონიკას მამა არი, ნარიმანი გო-ო-ცა-აძე!... გაჰკიოდა კირილე.

თუმცა კირილეს ამ გვარი მოსველა ყოვლად ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ დარიკო სირბილით გაექანა მისკენ, წაავლო ცხენს ხელი აღვირში და გააჩერა.

— სატირალში წახვედი, შე უბედურო, თუ ქორწილში, ასე გალეშილი რომ მოდიხარ სახლში?

— მიაძახა მან ქმარს და უნდოდა კიდევ გოქვა რაღაც, მაგრამ კირილემ აღარ აცალა და გა უკვე-ტინა.

— ჩვენ გახლავართ მიმინაშვილები! მიმინოს შვილები!.. მიმინოს!.. ჩვენთან რა უნდა მწუხარებას! მრიოდე დღე ვიცოცხლო, გული მწუხარებით ევივსო, მოლხენა დავაკლო და ისე წავაყრევინო ზედ მიწა? ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ვერ მოგაროვით! ჩვენ გახლავართ მიმინაშვილები! მიმინოს შვილები! ჩვენთან რა უნდა მწუხარებას... ხო-მე-რი-კი მიწას გვარ-თმევს, სი-მო-ნი-კა გვა-სამარ-თლებს..

— დაიწყო კიდევ კირილემ.

— გაჩუმდი, შე სასიკვდილევ! — ვეღარ მოი-თონა დარიკომ: გაჩუმდი, ნუ ღრიალებ, შე უბედური დღის გაჩენილო! ერთს მაინც რატომ არ იყითხავ, ჩემ გულში რა სიმღერა ტრიალებს!

— ჰა, რა იყო?.. რა ამბავია?.. რაშია საქმე?..

— რა ამბავია და ი შენი დარისპან ქარსიდე და მისი მზისუნახვი ფეხს აღარ იცვლიან. შენი ოჯახიდან და რაგარც გინდა ისე ეპატრონე მათ.

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა! — გადიხარხარი კირილემ: არა, ხუმრობ თუ მართალს ამბობ, დარიკო ჩემო, ჰა?.. კი-დევ არ წასულინ? ჰა-ჰა-ჰა-ჰა! აი, დასწყევლის ღმერთია! ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

— შენ გეცინება, ფეხებზე გეიდია ეს ამბავი და ერთი თვის სამყოფი ჭაღი რომ შეგიჭამეს, ბლარებს რაღა უნდა აქმო, ამას აღარ კითხულობ! ან კი შენ რა გეკითხება, ოლონდ შენი საღორე მუცელი ამოიყორო და ცოლ-შეიოს ფეხიც გაუცხია!

— არა მოიცა, მოიცა, დარიკო ჩემო! ნუ გაცხარდები!.. მართლა აქ არიან? ჰა-ჰა-ჰა-ჰა! — და კირილე გაღმოხდა ცხენზე, გადასცა სადაც ამ ღრიალს მოსულ მოსახურე გოგოს, ნინოის, და ოდნავის ბარბარით, მაგრამ მაინც კიდევ საკმაოდ მტკიცე ნაბიჯით გეგმართა სახლისკენ.



— ჰა-ჰა-ჰა-ჰა! !-ხარხარებდა გზაში კირილე: ამან უეგაწუხა მერე, უე კაი ქალო?

კირილე შედგა, რამდენსამე წამს უძრავად იყო გაჩერებული და სახეზე ეტყობოდა, რომ რაღაც უშაკურ გეგმას ამზადებდა. უცებ მოწყვეტით მიტრიალდა დარიკოსკენ და გადიხარხარა.

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა! რას მამცემ, დარიკო ჩემო, ი ჟენი სტუმრები რომ ნახევარ სათში იყარო აქედან, ჰა! რას მამცემ-მეთქი! მე და-ვერ მოვახერხო? უ—კირილე მიმინაშეილმა! ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

— რას აპირებ ახლა უენ, თუ ღმერთი გწამს? გლოხა არაფერი ჩეიდინო, არ გამოგვჭრა ყელი! სტუმრები არიან, რაც უნდა იყოს... ხალხში სირცევილი არ მაქმო!..

— უენ დარდი ნუ გაქვს, ჩემო დარიკო! ის მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ! როდის შემირცხვენიხარ აქობიდე, რომ ახლა უეგარცხვენო?.. — და კირილე უტკიცე ნაბიჯით გაეშურა სახლისაკენ.

— აქა მშვიდობა! — მიესალმა სტუმრებს ახალ მოსული შესპინძელი: რა კაი გიქნია, დარისპან ჩემო, რომ ჩემ ცოსვლამდე არ წასულხარ! აბა, დარიკო, უენ ერთი კა დედალი დაგვიკალი სადილათ და დვინო ჩემ კისერზე იყოს! მიამა, მე და ჩემმა დმგროთხა, მიამა, რომ აქ დამიხვდი!

— რა ვენა, უენი ჭირებუაროს, ჩემო კირილე! ბარებ მე კი არ ვიცი, რომ ამ ჩევენს დასჭუვა დროში ადამიანის ოჯახში მიხლომა და ათ დღეს გაჩერება კაცის მტრობას ნიშანებს, მარა სხვა გზა რომ არა მაქვს! უენ ჩევენიანი ბრძანდები და არაფერს დაგიმალავ, კირილე ჩემო: ამ ჩემი ცოდვით საესე გოგომ დააქცია ჩემი ოჯახი და მაგის გულისთვისაა ქვეყანას რომ თავს ვაბეზრებ. ახლა, ბატონო, სოლომან მორბელაძეს ხომ იცნობ, იმას მოველი აქ, უენ ოჯახში, გუშინწინ უნდა მოსულიყო ამ გოგოს თაობაზე: ერთი, კა ბიჭი მეგულება სალობერიძებში და უსიკვდილოთ გავჩარხავ საქმესო, ასე მითხრა. ალბათ, რამე უეფერხა და დროზე ვერ მოვიდა. სულ რომ ჯოხი მიჩრეა, აქედან ფეხს ვერ დავძრავ, სანამ სოლო მანი არ მოვა, ჩემო კირილე!..

— ი ყოჩაღ! ი და მალადეც, დარისპან ქარსიდ! — წამითვირა კირილემ: ი, ამას ქვია მმობა და მეგობრობა!.. რაკი ასეა, ჩემო დარისპან, გაფიცებ მაგ უენ გასათხოვარ ქალიშვილს, ერთი რამ შემისრულე: როგორც დღეს დამიხვდი აქ და ჩემი გული გაახარე, ისე ახლაც, ფეხი არ მოიცავალო აქედან ჩემს ჩამოსვლამდე: დღეს რომ ხუთშაბათია, სამშაბათ საღამოს თუ არა, ოთხშაბათი დღილის აქ გავჩნდები.

— კიდევ მიბრძანდები სადმე, კირილე? — უწყვებულის ხმით ჰერთხმა დარისპანმა.

— ჰო, დარისპან ჩემო: ქალაქში მივდივარ... კეირა დილას უსიკვდილოთ თბილისში უნდა დავრჩე!

— რა საქმე გაქვს მისთანა ქალაქში, უსათუოდ უნდა წახვიდე?

— დიდი საქმე დარისპან, ძალიან დიდი: კვირის ქალაქში მისთანა ამბავი იმართება, რომ მთელი იმერეთი იქ იქნება თავმოყრილი.

— მაინც რა ამბავია ასეთი, კაცო? ვინმე დიდი კაცის ქორწილი ხომ არ არის?

— დიდი დღესასწაულია, დიდი! დავით კლდია-შვილს ხ-მ იცნობ, ჩვენ დავითს? ჰო და დავითის დღესასწაულია, ვი წლის მოლვაწეობის დღესასწაული! მთელი ქვეყანა იქ იქნება თავმოყრილი, უფრო კი ყმაწვილ-კაცობა... აი სად იქნებიან ეი სასიძოები, ჩაჩიჩინებული ბიჭები უეგროვილი, ჩემო დარისპან, ჰა-ჰა-ჰა-ჰა! — გადიხარხარა კირილემ და დარისპანს მიაჩერდა თვალებში.

დარისპანმა ყურები დაცხვიტა და სკამიანათ გადინაცვლა კირილესკენ.

— უენ ისე ლაპარაკობ, კირილე ჩემო, ვითამ ყველა ეს კაცები ერთად, ერთ სახლში იქნებოდენ შექუჩული.

— აპა რავა გეგონა? ერთ დიდ სახლში იქნება ყველა. ვინ იცის, იქნება უენი კაროვნას ბედიც იქ იყოს მომწვედეული, იმ პალატებში დარისპან, ჰა? ხა-ხა-ხა-ხა-ხა! — კიდევ უფრო გულიანად გადიხარხარა კირილემ.

დარისპანს ფერი ეცვალა, კაროვნას გადახედა ცალი თვალით და უემდეგ ისევ კირილეს დაუწყო ცეერა იჭვიანისა და უმწეო თვალებით.

— აპა, ბევრი ყმაწვილები იქნებიან იქ კირილე? ცოლ-სათხოვარი ბიჭები? — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ჰერთხმა მან კირილეს.

— იმდენი წელიწადი უენ გასძელი და მეც, ჩემო დარისპან!

— რავა მირჩევ უენ ახლა, კირილე ჩემო: მოდი მივატოვო ეს სოლომან მორბელაძე და მისი სალობერიძეები — სულ ერთი მაინც არსად სჩანს ჩემი სოლომონი — და წამოვიდე თბილის!


— ისენც კა დაგემართოს, კა ჭიუა ეგ იქნება?.. მარა ა-პა აპ-პა! ნიკაკის! პირობა დაგვიწყდა, რომ აქ უნდა დამიხვდე, ჩემს ოჯახში?

— სულ ერთია, ამ დასაქცევ ქვეყანაში არაფერი ეშველა ამის გათხოვებას... მოდი, ერთი იქაც ესინჯო, ამ უკანასკნელად... ერთად წევიდეთ ჩემო კირილე, უენი ჭირებულოს. აბა, ბოშო, კაროვნა, მოემზადე ჩემია, ახლავე უნდა გაუდეგთ გზას, სახლში შევლა უნდა მოვასწროთ...

ბევრს ეხვეწენ კირილეც და დარიკოც დარისპანს, საღილათ მაინც დარჩითო, მაგრამ ვერაუფერს გახდნენ და დიდი საკუდურებით გააცილეს თავიანთ თჯახიდან. მეორე დღეს კირილე დაუხედა დარისპანს და კაროვნას დარკვეთის სადგურზე, საიდანაც თბილისს გამოემზავრა მათთან ერთად.

დღეს დარისპან, კაროვნა და კირილე თბილისში არიან და კეირას, რა თქმა უნდა, საიუბილეო დღე-სასწაულს დაესწრებიან.

## დავით კლდიაშვილის იუბილე.



**კიბილე მიმინაშვილი.** მე, ბატონო დავით, ოქვენ კარგათ მიცნობთ, ვინცა ვარ! მიმინაშვილი გახლავარ, კირილე მიმინაშვილი! მიმინოს შვილი! მართალია, აზნუშვილობა მოისპო, ბატონო დავით, მარა ლვთის გაჩენილი მთა-ბარის გასწორება კაცს არ შოუძლია, ბატონო! სისხლი მაინც სისხლია და ამიტომ, როგორც ოქვენც მე-თილშობილი ბრძანდებით, მეც ამ მცირე სასმისით ოქვენ სადღეგრძელოს გიახლები, ჩვენი გვარის მიმინაშვილების შეგიერ. აგრეთვე, ბატონო დავით, ივნე გვერდფვანიძემ დამაბარა თქვენთვის დაბალი სალამი, ახლა ის კომისარი გახლავს და რაც შეიძლება კარგათ მიყავს თავის საქმე, გაავსო, ბატონო, ოჯახი, ყოველივე ხორავო-ულობით...

**დარისბან.** (კაროუნას) აბა, ბოშო, კაროუნა, ახლავე შენი ვეჩერეზი მოვა... კირალე რომ გაათავებს ლაპა-რაქს, შენ უნდა დეიშყო, იცოდე! რაგარც კი წამოვა, ხელათ უნდა დეიპირო მისი ადგილი, თვარა ათასი კაცია მოდარაჯებული; ხომ ხედავ, ეგერ ჩვენს ვარდენ ყიფიანს ხუთი კაცი ძლივს აკავებს, წუწუნავაც რავა გადაჩა-ხმახებულა და მოაროვეეს ხალხს... აბა შენ იცი, რავა ლამაზით დეიშყება... შენი ბედი ამ სახლში გადაწყედება: მთელი იმერეთი მოვიარეთ, ნ კომლიანი სოფელიც კი არ დაგვიტოვებია, რომ არ ყოფილიყოთ და შენს გათხო-ვებას არაფერი ეშველა, ეგება აქ გაგვიცინოს ბედმა... აბა შენ იცი, შვილო კაროუნა, რაგარი რიხით დეიშყებ! აპა! ჰა! მგონი ათავებს... მეემზადე!

## დ ე პ ე შ ე ბ ი.

**გარეთ კახეთი.** ივრის თემის მილიციის უფროსს ბორიტი ენები აბრალებდენ, თითქო მას მიეთვისე-ბოს ხბოიანი ძროხა, სახაზინო ცხენი და ჩამორი-მეული პური. სამაგიეროთ, როგორც შეეფერება ბორიტი ენების ნაყოფს, საქმე ჩაფუქჩების კომი-სიას გადაეცა.


**სართოჭალა.** ადგილობრივ კომისარს აღმოაჩნდა (დამახინჯებულია) 4 ცხენი და 7 სული ხარი. და-აპატიმრეს ნაქურდალი კომისარი.

№ X.

**ლესა.** ექიმების აზრით, თუ კარგი მომვლელი ჟყოლება, შეიძლება იმედი ვიქონიოთ იმედი კოო პეუატივ „იმედის“ გადარჩენისა. ახლობელი.

**ახალ სენაკი.** ქალაქის გამგეობაშ გადასწყვიტა სამაზრო ერობის გამგეობას სამაგალითო გაკვეთი-ლები მისცეს მეურნეობის წარმოებისა. ამ მიზნით განზრახულია: ქალაქის ბალი გადაიპაროს და პპრილის მიწურულში დაითესოს სააღრიო კარტოფილი. ნა-წილი მოხავლისა გაიყიდება საგარეო ბაზარზე ხარ-ჯების დასაფარავად; მეორე ნაწილი მოხმარდება ქალაქის მცხოვრებთ, ხოლო ნამუსრევი გატანილ იქმნება მაზრაში სანოვაგეზე ფასების დასაცემად.

## ჩვენებური იუბილე



საიუბილეო მილოცვების დასაწყისი.

### ეს მემცნეოება!..

როდესაც ჩემი ქუჯა გონება  
შორს—შორს საღიარება,  
და თუ ამითი ქვეყანას ვარგე,  
სწორეთ რომ გითხრათ, ეს მემცნეოება.

როდესაც ქვეყნის ჭირი, ვარამი  
გულსა ლოდვით თუ არ მედება  
და ჩემგან მისთვის ერთგული შრომა,  
სწორეთ რომ გითხრათ ეს მემცნეოება.

როდესაც გულის სილრმეს არ მწვდება  
ტანჯული ხალხის სულის კვეთება,  
მე რომ იმათთვის გიზრუნო რაბე,  
სწორეთ რომ გითხრათ, ეს მემცნეოება.

როდესაც ვხედავ მოძმეთ სიკეთეს  
ბოლმა და ჯავრით მომდის ფეთება,  
და თუ მე იმას ხელი შეუწყო,  
სწორეთ რომ გითხრა ეს მემცნეოება.

როდესაც ჩემგან არ შეიძლება  
საერთო საქმის მსახურ კეთება  
და რომ ქვეყნისა გამგეთ, შევიქნე,  
სწორეთ რომ გითხრათ ეს მემცნეოება.

როდესაც ქვეყნის მავნეთ ვშობილდარ,  
ძალი აღარ მიძი გამოკეთება,  
რომ დამავალონ არგე მეოძმესო,  
სწორეთ რომ გითხრათ, ეს მემცნეოება.

ან. განჯის-კარელი

## ჩვენებურ იუბილე



J. 8

მილოცვების დასასრული.

### სასარგებლო საქმე

რკინის გზელების ხაყურადღებოთ.

ამით ვაცხადებ ამხანაგ რკინის გზელების ხაყურადღებოთ, რომ ზესტაფონის სადგურის ტელეგრაფში იხსნება ძველი ტანისმოსების სალებავი „ქარხანა“. ვინაიდან რკინის გზელებს, ჯამზეირების სიცოტავის და მანუფაქტურის სიძვირის გამო, ახალი ტანისმოსების შეძენა არ შეუძლიათ და შეძენილიც შემოაძველდათ, რომ ძველებს სიახლის ფერი მივცეთ და იოლათ ჩაგატაროთ სიძვირე, გთხოვთ გამოეშუროთ აღნიშნულ ქარხნისაკენ. ქარხანა მოწყობილია კომპერატიულ ნიადაგზე.

ნიმუშიდ საქმარისია ოვალი გადავლოთ ტელეგრაფის კედლებს, შიგ მომუშავე მოტელეების სახეს და მათ ტანისმოსებს, რომ დარწმუნდეთ „მავი სალებავის უმაღლეს ღირსებაში. გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ ერთი ღამის განმავლობაში საქმარისია ჩვენი სისტემის ოთხი მხრისას ლამაზა სამოსელს სრულიად შეუცვალოს ფერი. იმავე ლამპების ჭვარტლი საუკეთესო ღებას წვერულვაში, თმას, ამოყავს და ამაგრებს მას, ასწორებს სახეზე ნაოჭებს, ხოლო უკეთუ განსაზღერულ დოზას შეგნით ინებებთ, ახდენს ფილტვების დეზინიფერიასც.“



## გურული სცენა.

յյ առ թաջոմծա կը յստ հիմնա անցսօամ, յյ առ  
մայսամա Տուրպեցոլո? ացո Մյիշցեցծյոլո, ացյր ռո-  
մուլու առ Շլուս յալու, մարա հռմ առ ցարցուց  
մուսո ցյոլո, հռմ առ եսցըզօ, պարուցյոլո ածալո,  
հապ իո մյա հիցնմո, մուճա ոյնցօն այս համ ամձազո,  
ոնճա ցյուրոննուս եյլմո յևոյցիոլուո. Բրուցյոլու  
յիրո՛մոնիուտցուս Մյաո ոյու, ոյնցան մույուլյոծյոլո  
հռմ յոիհմա, առ ցամարտցա եռմ ևամցըլո: ցիճա  
տու առա, յալունդա ածալու Տրուլուտ, ածալ մուժանց  
ոնճա ցյուրոյենուու... ճամանցեց, քըւայուու, տացով  
հա մյածալյալոնցըզօ, ածալու հա եյուս ճամայրուս,  
մյցըլու հռմ առացյուրո առ մյուցու հիմճա Ցյույո...  
հացարու տէյցեն առ ճագկլաւու, առ մոնճուու մուս  
կըշանց Եաւզլու, ամաս հազա մոխամճա ցյուլո Մուճա  
յան մոմերոյցնու, ածալու Եյլու յիրո՛մոնիուտցուս մա-  
հեցնմո ցյուրոյենցնու, մարեցո ցյուրոյեցեա ամենու յացս...  
հռմ ածցւհյու այս առ յահածալոնո, ացյր ռու Եյլո-  
՛մուու, հռմ ալան մուլցյասՏրաւուլյունո հիմյեցյարաց  
յալունդա, տցարա, մանամճու, ուրութեայ Մյենց ճա  
մյուր, հիմյացու յիշու ցըր ցյուրուցյու յալունդա  
ցյուրուն ամուհիյուլո Ծյունո, հիհուլյայս համուցյնուու  
ռու հիմու Տօցրեցս, հռմ Մյեմուցյամացլու Խորուո,  
յուրկան Ծյուլուտ, Եամուցացյունո Ցյու ծոյըլու, կան-  
չուլուս, վաշլու, ածրյանու, ցյուլու, Ցյու յու Մյուց-  
լյունցյու Ծածուս տացս հռմ ցամույսուցյունո, Մյու-  
յույուլունցյունո Տանտլյուն յամուցյունո Ցյու ծոյըլու,  
ցալուցաս զոն մոմասԵրուցյունո, հիմս յահածոնոս հռմ  
ցծրուցյունո, տցու Տույլուու ցյուլուցյունո ճա  
մյույնուցյունո յալունուու. հիմու անցսօա մալունան յու-  
մետու յալու, մարա յալունդա ուլուս ցալուցաս զոն  
ցածրուցյունո ոյու, այս մովոնճա, համոմյյունուուլյ-  
ծուու կույրեցու, կըյալ Ծյոնինո համէրու Մյուցյունո  
ճամյունու: „Ցյոնացալյ յամածունանո, ցածուու, տույա  
յիշու յամածու ցյուրունանո, Մյենց յյ եարո... ամա!!  
այս մոխահուու յալունդուս ցալունցյօ, մարա հռմ ամո-  
հույս ճացտարու, մոյանցեց տացու ճա առու մոնճուու  
ցամյեսեցյունո ոցու... մարա, հռմ առ, մոմբա ևամցըլու,  
հա մյենա... հազա, առ ցացունու, քըւայումա տէյց  
տուրմյ, Ցլուս ճավիցաւու, յուլու նոցյանուու ճա յյ  
չցյուն տուրմյ Շուտ... յալուս ցյուլու հա մուրոյյուս...  
ճամուցյունու եռմ տացուս Ենձանց, հա մյենա, Մյու-  
ցյուն յալունդուս մինցընուս, մյունունցյունո ճամցունո-  
ւուն: „Ցոյու, ցածուու, համ ցացածուու, հազա, Մյենց  
Կուութունուսէրու, տույա առասու... մյ յյ թ եցենու-  
ճա, մարա այս ցյունուու ոցյուն: „հա մյենացունցյօ,  
ածալուս ց ցյուրոյենց ճա մյցըլու եռմ Շուն  
ուրուցյ հազա ցամուցյօ Մյուլյանու, ան մյցըլու Եյլո-  
՛մուու յու ոյնցնու յելունուու ոցյուն: „հա մյենացունցյօ...  
առայացս առ Մյուլյեցնու հայեն Խոյսունանո հիմս մյուն  
ածալու յալունդա. հալամց ցյույմու, յյ ՅուլցյասՏրա-

ულებ ბარალამ კარგათ მეთქინ... მართლა აჭაფელ-იორი არ დამიჯლია, რაც კი შეიძლებოდა ამ დაღუ-  
პულ დროში... გვეილოცე კალანდა დილას, ვი-  
სურე ქვეყნიზა მშეიღობიანობა, ჩვენი ქვეყნის ბე-  
დნიერება, ჩვენი მტრების თვალების დაყენება, ამ  
ასერილი ქვეყნების დაწესრიგება, კაცთა შორის  
მშვიდობა, ქადის, ფართალის, პურის, და ყველა-  
ფერის, რაც საჭიროა იმის გაეფება, ვუსურე ჩემს  
ანუსიას სიცოცხლე და ჯანთელობა, გადაპრო-  
შტე და ვბრინგე ჩემი ყარაბინერა, რაც იქნეს, იქნეს,  
ვუთხარი ანუსიას, კი გამააბდლე აი კაკალი კაცი,  
მარა ვნახოთ, ერთ შენს ჰერაზეც გევიარ მეთქინ.  
დავუდით, გისაუზმეთ... არ გუუარია ნახვარ საათს  
და მოგვადგენ კარზე გვარდიელები: „ამდილას,  
გამოენიესას რომ ზარბაზანსავით... ბრიგა, ვინ იყო  
იგი, გვითხარი მალეო... — ვინ იყო და მე ვიყავი,  
კალანდა გვეითხენ ახალ მოდაზე მეთქინ... არ  
დამიჯერეს, შევიყანე სახლში, ვაჩვენ ჩიჩილავი...  
მაშვინ ქე დეიჯერეს, დაცელით საღილზე და სა-  
ლამომდი სულ ბრევალ ემიტ და ალილო ვიძა-  
ხეთ... ძან იამეს გვარდიელებს, თქვენ ნამდვილი  
ცოციალისტები ყოფილხართ, რომ ახალ მოდას  
მისდევთო... — აბა, თქვენ ბალშონიკი გეგონეთ,  
რომ მომადექით ამ დილას კარზე მეთქინ, ვუთ-  
ხარი იგენს... არა, თოთის სროლა ყველაზა აკრ-  
ძლულია და იმიზა მუედითო... კაი, დაგემართოს.  
გავატარეთ ასე კალანდა. მევიდა შობა. შობა ხომ  
ძელებურათ ვიდლესასწაულეთ... მეორე კალანდაც  
მინდოდა შედლესასწაულებია, მარა, გეიარი რამდე-  
ნიმე დღემ და იმისანე სასიხარულო ამბავი მევიდა,  
რომ რაღა გინდა შენ უკეთესი: საქართველო სა-  
ხელმწიფოთ იცნესო. — გაგვიხარდა, მარა, რაფერ  
მერე, მიწაზე უეხს არ ვაკარებდი სიხარულით,  
ანუსიე ხომ სულ იმას მეუბნებოდა, რომ ახალი  
სტილით კალანდა, ნახე რა ბედნიერი ყოფილაო!..  
— კი ყოფილა, რაღა დროისაა, კაი, მაი ახალი კა-  
ლანდა, ახლა კი ვარ მაღლიერი, რომ დაგიჯერე  
და ახალი კალანდა დევიბედნიერეთ, ამისთანა სა-  
სიხარულო ამბავი და ბედნიერება არც ერთ კა-  
ლანდას არ მუუტანია ქვეყნიზა მეთქინ... დედა,  
რა მოგვესრა აგი, იქნება დევისვენოთ აწი, იქნე-  
ბა დიეწყოს ქვეყანა, რამე გაიეფდეს და შიმშილით  
და უჭინჭო — უტანსაცმლოთ არა მოვტეთ, — და-  
ვანებებ თავი, ძეველი კალანდა რავა მინდა აწი, აი,  
შობა და ახალი კალანდა კი არყული, მარა მა-  
გას ქე გაასწორებენ თურმე, შობას წინ დასწევენ  
და კალანდა მერე იქნება თურმე. ყველაფერი ქაი  
მოგასწროს ღმერთმა ყველას, ჩვენ კაი ამბავი და  
ბედნიერება მოგვიტანა ახალმა კალანდამ, ქვეყანა,  
დიეწყოს, რაცხა ხალხმა სული მეითქვას, თვარი  
მე ჩემს თავს რას ვჩივი აწი, სამარეში ვიხედები.  
ჩემი დამოუკიდებლობა მაინც არ იქნება ჩემი ანუ-  
სიეს ხელში, რაც უნდა იმას მაქნიებს და როი-  
საც უნდა მაშვინ, აგი სიდოური დამუუკიდებლობა  
არის, მარა ჩემს თავს რას ვჩივი, თუ ჩვენი ქვე-  
ყანა კი წინ წაგა...»

ლუკაის ობოლი.

## რეფორმის შემდეგ



ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა და მას შემდეგ, რაც 6 მან. მაგიერ 10 მანეთად გავხადეთ № 7 უწესეობად და თავპირისმსხვრევამ კიდევ უფრო იმატა ქუჩაში ქურნალის გამოსვლისას მილიციის უფროსი, რაკი ვერაფრით დაამყარა წესრიგი, იძულებული გახდა სამსახურისათვის თავი დაენებებია.




მაგიერში ჩვენ, ქურნალის თანამშრომლები და გამომცემელი, როგორც ხელავთ, ცოტათ მოვჯობინდით და უწინდებურათ გაძვალტყავებული ილარა გართ!



ჩვენი გამომცემელი ქი ეხლა თავის თანამშრომლებს უკან აღარ რჩება და ერთი-ორიდ ინაზღაურებს გა-  
ნვ უილ 6 მანეთიან დროების დანაკლისს.

ფედერალისტების „მოლგაწეობა“ ფოსტა ბელარ. უწევბაში



**დ. მგელაშვილი.** დასწყევლის ღმერთმა, დღე და ღამე თავს დავსტრიალებ ამ მანქანას, შეხედავ თითქო არა-ფერი აქლია, მაგრამ მაინც ვერ მუშაობს ისე, როგორც უნდა მუშაობდეს. ნერავ რა ჯანდაბა უშლის? ქვეშემიშაები. (თავისთვის) აბა ბიჭებო, გაუჩინრეთ ჯოხები ბორბლებში, და ეწვალოს.

## ქრონიკა.

**დ. ბაბაშა.** დღე იგი ამა წლისა იანვრის 30, შინაგან საქმეთა მინისტრის ჩამობრძანებისა სამწუხარო დღეთ უნდა ჩაითვალოს აბაშის ცხოვრებაში. მინისტრის მოლოდინში და მის მოურავების მიერ პირისაგან მონისა აღვერილ განიავებულ იქნა ქუჩებსა და მოედანზე მრავალ წლობით დაგროვილი ძველი განძეულობა, ურომლისოდ ძლიერ გაუჭირდება ცხოვრება ჩვენს დაბას.

ჯიჭირ.

**მუხრანი** მუხრანის ზოგიერთ სავაჭროებში, დამღამობით „ბანქოს“ საშვალებით იმართება 1919 წ. მოგებულ ფულების განაწილება. რაღაც ზოგიერთ ამხანაგებისათვის მოგებიდან არაფერი ურგუნებით და ჯიბე-გაფხეკილი დარჩენილია, ატეხილა ერთი ალიაქოთი და მიხლა-მოხლა. წესიერების აღსაღვენათ სოფლის ადმინისტრაცია იძულებული გახდა, სავაჭროდან ისინი გაედევნა— და, სავაჭროს კორებზე კი კომისარიატის ბეჭედი დაესცა.

ნემსი.

## სტეფანი ქედის სიმღერა.

(კახეთის თვის)

სურეილმა გამდიდრებისა დამიფრთხო ბეჭავს ძილიო;  
 კახეთის სოფლებს მივადექ—გამოუთხარე ძირიო.  
 ერსა, ბერსა და თავადსა, ყველას გავკარი კბილიო;  
 ქვრივ-ოხერთ ტყავი გავაძრე, მთლათ ამოვწოვე ტვინიო.  
 ჭამაში მაღა გახსნილსა ზედ შემომესწრო იმიო,  
 ოხრათ გაძირდა ყოველი; პური, სიმინდი, ღომიო.  
 გიყვარდეს—გავძერ, გამოვძერ, დავაფაციცე თვალები...  
 საპონს და ფერ-უმარილსა მთხოვდენ გალმური ქალები.  
 ქალაქს კი პური ჰშიოდა, „პულრა“ ვის აგონდებოდა!..  
 ყველგან ვიხმარე ფანდები, სადაც რა გამოდგებოდა.  
 დამშეულთ პური ვუზიდე, გამამძლართ ფერ-უმარილი;  
 თბილისელთ ჭაჭის არაყი, სოფლელებს გოხი-მარილი.  
 თანაც ვატყობი, რომ ხალხი უფრორე—დაიმშეოდა.  
 იმდენი პური დავმალე, სარდაფში არ ეტეოდა.  
 და, როცა თავისუფლებამ რუსეთი სულ მთლათ არია,  
 დამალულს ყიდვა დავუწყე მაშინ დამიდგა დარია...  
 თბილისშიც სახლი ვიყიდე კოხტა, ლამაზი დიდია.  
 მე კარგათ ვცხოვრობ, ხალხი კი ფეხებზეც არა მკიდია.  
 ჯიბილა!

## მთავარი სახელოსნოები.

განცხადებების დაფაზე.

### პირველი განცხადება:

მაქვს პიტივი ვაუწყო სახელოსნოების პატივ-  
 ცემულ მუშებს, რომ ამიერილან იყათმყოფთა ბი-  
 ნაზე გასინჯვა მოხდება რიგში ჩაწერით. ჩასაწერათ  
 უნდა მიმართოთ სახელოსნოების „ოკულოტკის“  
 დარაჯს, რომელიც ფერშლობისათვის მოსამზადე-  
 ბლათ არის დანიშნული ჩემთან. თუ რიგის მოწე-  
 ვამდე იყათმყოფის მდგომარეობა გაუარესდა, მაშინ  
 უნდა მიმართოთ ჩემს ორ თანაშემწერთ, რომელთაც  
 თამამათ შეუძლიათ ჩემი მაგივრობა, მიუხედავათ  
 იმისა, რომ მე ექიმი ვარ და ისინი ფერშლები.  
 იყათმყოფობის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა სა-  
 სტიკათ ასრულებდეთ შემდეგ დიეტას:

1. მიიღებდეთ დღეში თითო ჩის ჭიქა  
 „კარდანას“ სულზე;
2. რეგალათ მოხარშულ ვარის;
3. თითო ბორკომის ბორლ რძეს;
4. ათ ცალ კვერცხს ერბოში შემწვარს და
5. ექვს ფრანგულ ბულკს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ეპიდემია ფართე ხა-  
 სიათს მიიღებს და, ისედაც კერძო პრაქტიკით მო-  
 უცლელი რკინის გზის ექიმები, იძულებული ვი-  
 ქნებით მოვაკლოთ ჩენი დახმარება რკინის გზის  
 მუშა-მოსამსახურეთ.

მთავარ სახელოსნოების ექიმი ოჩერედნოვი.

ცოცხა.

## სოლომონ ზურგიელიძის სსრ. ენას.

(საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო)

დღეს ჩენი ხალხი იდეს ლხინსა და ზეიმშია  
 რომ გამოსცედა სანუკერი მან ბედი თვისი,  
 სამწუხაროა რომ შენც ჩენთან ეხლა არა ხარ  
 და ვინ შევისოს ჩეგნთვის დიდი ეს დანაკლისი.  
 უმსა ბენელისას შენ იყავი ჩენი მფარველი,  
 როგორც ლამპარი გვინათებდი გზას გასავლელსა,  
 და რომ იმედი ჩაგნერება ტანჯულთა გულში  
 დაუღალვად მუდამ ქნარი გეჭირა ხელსა.  
 მწარე ლექსებით დატიროდი სარშობლოს ბედსა,  
 იღუმალ ცეცხლით თან იწვოდი ვით საქმეველი,  
 შეუდრეკელად დაინტაჯე უსწორ ბრძოლაში,  
 ვით გოლგოთაზე წამეტული ნაზარეველი.  
 მონაბის დროში ვის ეგონა მიგვატოვებდი,  
 გაუხარელი ჩახვიდოდი ცივ სამარეში  
 და შენს ქნარსაა თვით ზეციდან ჩენთვის მოვლენილს  
 დააღმებდი, წაიღებდი უცხო მხარეში.  
 ნაყოფს ბრძოლისას ვერ მოესწარ, მუდამ უბედო,  
 ისე მიიკარ ტანჯულ გულზე შავი სიკვდილი,  
 მაგრამ საყვარელს შენს სამშობლოს, ეხლა ბედნიერს,  
 დღეს მხიარული თავს ევლება შენი აჩრდილი,  
 უკვე აღსრულდა შენგან თქმული ბრძნული სიტყვები  
 „როს გაცოცხლდება საქართველო, — მაშინ აღსდ-  
 გება“

და კიდეც აღსდგა. გიხაროდეს საფლავში მაინც;  
 აქ კი მარადის შენს სახელსა ქებათა-ქება.

დუში.

6 5 6 8 9 3 3 3 8 9



ქ-ნი ანტარტიკა. საკვირველია ამ ნანგრევზე რამდენი სუკო აღმოცენდა. ენახოთ ჩემთვის რომელი ივარგებს.

ჭავან-ლანირის რესპუბლიკა.

**15 დეკემბერი.** (დაგვიანებულია) ჭავან-ლანი-  
რის ჩესპებლიკის დამოუკიდებლობა უკვე იცნო  
როგორც საქართველოს შთავრობამ, აგრეთვე ქუ-  
თაისის სამაზრო ერობამა(၃).

ამ სახელმწიფოთა ელჩები უკვე ჩამოვიდნენ და  
დაბინავდენ „ვერტხვის მინიორზე“.

„ვერხვის მინდორზე“ ამ ფრიად მნიშვნელოვან  
და ისტორიულ აქტის აღსანიშნავთ გამართულ  
ნადიმზე ხსენებულ რესპუბლიკის მთავრობის შიერ  
მოწვეული იყო სხვა და სხვა სახელმწიფო წარ-  
მომადგენელი. ნადიმზე გრძელი სიტყვა წარმო-

სოქვეს შინაგან საქმეთა მინისტრმა დომენმა და  
საგარეომ—ლალონმა. „ეს დფეო“, სოქვა დომენმა  
„ყველა დღეებში გამოიჩინულია; ათასი წლობით დაჩა-  
გრულმა ერმა „სამხრეთელმა“ თავი გაინთავისუფლა;  
გამონახა ისეთივე ჩაგრული ერი, როგორიც არის  
ჭავჩისელნი და მჭიდრო კავშირი შეკრა შასთანაო.  
მომავალ სახელმწიფო ორგანიზაციის აღმშენებლობითი მუ-  
შაობისათვის შედუღდა და შეუსისხლორცდა ერთ-  
მანეთხაო.

შისალოცი სიტყვები წარმოსთქვეს კუთაისის  
სამაზრო ერობის გამგეობის წევრებმაც და უცხო  
სახელმწიფოთა კონტინტა.

ნადიში ლაშთავრდა მეორე დღის 4 საათზე.



— 16 დეკემბერი. აღმოჩნდა, რომ ლანირი შეს-დგება ორი ერისაგან. ამ ერთა სახელწოდება გა-მოჩენილ ისტორიკოსების გამოკვლევით ასეთია: ჩრდილოელი და სამხრეთელი. ჩრდილოელი ერი შეადგენს სამ შეოთხედს მთელ ლანირისას და ბი-ნადარია, მისდევს მიწის მუშაობას, ხოლო სამხრე-თელი ერის დიდი უმრავლესობა ჯერაც მოხეტიალეა და უფრო ეტანებიან მეჯოგეობას.

საზღვარი ამ ორ ერთა შორის ასეთია: ლანირის-ქუტირის რესპუბლიკის პარლამენტის შენობა, თვით ლანირის უნივერსიტეტი და თხილავების უბანი.

17 დეკემბერი-19 წ. სამხრეთელი ერის ნა-წლი, რომელიც გამიჯვნის დროს ჩრდილოელ ერში მოჰყვა და გაითქვიფა აღმფოთებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ ისინი არ მოჰყვენ ჭავან-ლანირის სახელმწიფო საზღვრებში\*).

18 დეკემბერი-19 წ. ლანირ-ქუტირის სახელ-მწიფოს ქვეშმერდომ ერმა—სამხრეთელმა თავი მო-იყარა თავისუფლების მოედაზე და უთვალავ დრო-შებით და პლაკატებით, რომელზედაც ჭრია: „ძირს ლაირ-ქუტირის თვითნებობის სახელმწიფო, გაუმა-რჯოს ლანირის მთლიანობას. მხოლოდ ჭავან-ლანი-რის რესპუბლიკის საზღვრებშით.

გაემართა „ვერხეის მინდვრისაკენ“. პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის მოხდა შეტაკება. და-კრილია ათი და მოკლული ხუთი—ამთში: ერთი კაცი და ოთხი ქალი. მიუხედვეთ ასეთი ზომებისა დემონსტრანტებმა საღამოს კვლავ თავი მოიყარეს თავისუფლების მოედაზე. გამოიტანეს შემდეგი და-დგენილება: აირჩიონ დელეგაცია და გაგზავნონ ქუ-თაისის სამაზრო ერობაში ლანირ-ქუტირის მთავრო-ბისადმი პროტესტის გამოსაცხადებლათ, და მეორე, რათა შუამდგომლობა აღძრან ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობასთან საზღვრის შესაცვლელათ ჭა-ვან-ლანირსა და ლანირ-ქუტირის რესპუბლიკათა შორის, კინაიდან მათ ასე სურთ (სამხრეთელებს).

დელეგაციაში შედის სამი პირი ჩრდილოელ ერის თავგამოდებული მოლვაზეთა და ქუთაისელი ებრაელი აბეშა.

19 დეკემბერი-19 წ. ჭავან-ლანირის პრეზიდე-ნტი ვალონი დეკემბრის 24, დილის 10 საათზე, საგანგებო მატარებლით გაემგზავრება ქუთაისს.

ინახულებს სამაზრო ერობის ზოგიერთ ხმოსნებს და გამგეობის წევრებს, აგრეთვე ბ. ნ ლომიხვაძეს, რომელიც დადი სიმპატიით ეპყრობა ჭავან-ლანირის რესპუბლიკას.

\* ) წინათ აირჩიობდა ერთი ლანირის რესპუბლიკა. ამ სახელმწიფოში შედიოდეს მრავალი ერები. ახლა კი შე-სდგება ორი რესპუბლიკისაგან, ჭავან-ლანირი და ლანირ ქუტირი, ლანირი გაყოფილია ორთ. აფტ.

პრეზიდენტს მიიღებენ ქუთაისის სამაზრო ერო-ბის სალაროს კარილორში (დასაცდელი ოთახი).

რის შემდეგ სადილს მიირთმევენ სასადილო „კოოპერაციაში“.

კუდიანი.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საჩხერის გენერალ-გუბერნატორისა.

როგორც აღიუტანტების მოხსენებიდან სჩანს, ჩემს საგენერალ-გუბერნატოროში, ძლიერ უკლია „ბაქარის“ თამაშს; მწუხარებით აღვნიშნავ რა ამა-ზე,—წინადადებას ვაძლევ ჩემს ხელ-ქვეითთ, რათა უპირველესი ყურადღება მიექცეს სათამაშოთა ფა-რულ ადგილების შოენას.

ვაცხადებ სოფლელ მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ მე, გენერალ-გუბერნატორს, სრულიადაც არ მქონია მხედველობაში დამეწევებია 8-სათის სა-მუშაო ღვინის სმა. მათ უფლება აქვთ იურიულ მთელი დღე და ღამე—თუ კი ამას ისურვებენ.

## ი ო ს ტ ა.

ფილატეს. ჩვენს რედაქციას ძლიერ ეინტერე-რესება გაიგოს ვინ გასწავლიდათ ოქვენ გეოგრა-ფიას. ისეთი ხალხი, რომელიც „ცხვირში შემფურს იყრის“ აესტრალიაში სცხოვრობს და არა აესტრიაში

ავტორს. (რომლის სახელი და გვარი ვერ ამო-ვიყითხეთ) თქვენს ლექსში ერთი შეკითხვა არის: „მაგრამ მე ჯერეთ ჩჩევა მომეცით, ტკივილებსა ვგრძნობ თუ მოვრჩებია?“ თუ ეს ტკივილები ლექსის წერით არის გამოწვეული, თქვენი მორჩენა ერთობ საეჭვო იქნება. სხვა მხრივ ნურაფრის გეშინიათ.

გოგიას. იხილე მე 11 ნომერი, გვერდი მე 13-ტე ჩვენ არაფერი დაგვრჩენია.

ბუტა-ბაქურას. „ფსევდონიმს თავი მოვალიავ, ეხლა ვარ ბუტა-ბაქურა. და მაპატივე, ეშმაკო, მუზამ თუ დამატხაკურა“

შეგინდოს უფალმა, ძმაო! ჩემი პატივება თუ კი იქმარებს ამაზე აღვილი რაღაა, მე მუდამ თანაგრძ-ნობით ვეკიდები თქვენს ბედში მყოფთ.

გაქცეულს. დავნიშნეთ სენატორთა რევზია შინაარსის გამოსარკვევათ.

საქრამენტოს რა კარგი იქნებოდა მოკლეთ რომ დაგეწერათ და გარკვეულათ.

კოჭობინელს. თქვენ იწერებით: „ჩვენმა სო-ფელმა გადასწყვიტა ააგოს სკოლისათვის ენგურის შენობათ.

ეს დასაჯერებელი იქნებოდა მდ. ენგური რომ იყინებოდეს.

„გუშან მოხალისეთა ჯარის წარმომადგენერალი უნიტი იმპერიაზე  
ხელა სომხეთის დიპლომატიური წამომადგენელი და ვა-  
ნუცხადა, რომ დღინიგა იცნო სქართველოს, და სომ-  
ხეთის და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობაო“.



დენიკინი. მშენებელი მეზობელო, მოხუცი კაცი ვარ ნუ გამიმტყუნებ, თუ ამდენს ხანს ვერ გიცანი. ახლა კი გცნობ, შენ სწორედ საქართველო ხარ...  
საქართველო. ოქვენ თითოეული ვინა ბრძანდებით. სრულად ვერა გცნობთ...

**ნახუცურელს.** „ეშმაკის მათრახს“ ფოთიღან  
ბუტუნა აწვდის ცნობებს: ოქვენი კარიგატურის  
გეგმა გვარიანია, მხოლოდ აზ ვიცით რა საგანზე  
გსურთ რომ დაიხატოს.

**მაჰვისეფის.** ჯერ დაგვისაბუთეთ და შემდეგ და-  
ვტექლავთ.

მოქალაქეს, ოქვენს ოხოვნას: „შეშის სიძვირე  
ზე მეთაური წერილი დავსწეროთ“ ვერ გისრუ-  
ლებთ, ვინაიდან ჩვენ ქანახშირს კვლარობთ.

ՄԱՆՈՅ յյանոմիսեմ. Իցը հյատորան „Հայոթո“  
ՅԱԾՈՂՈՅԹ. ԿԵՐԴՄ ԽԱՏՈՒԻՍ ԿԲՈՅՑԸ ՕՐ ՅՈՒԼՋՅՈՅ  
ԼՈՒՆԳՎՈՅԵՄ. ՏՈՒՐՅԱ „ՎԻԽՈՎՆԻԿ“-Ը ՑՈՑՈՅԵ-

თი „მელონეფ“ სთარგმნის. სატერმინო კომისიას უფრო სწორად მიაჩინა „სირაჯი“, საინტერესოა თქვენი აზრი.

ოშუჩვეთში ნამყოფს. შე კაი კაცო ამოღენა  
წერილი ისე გარკვეულათ დაგიწერია და რისთვის  
გაგიჭირდა სახელისა და გვარის წასაკითხავად მოწერა?

მისწოდებას. ოქვენმა „გეურქამ“ ველარ მოუს-  
ტრო მორიგ ნომერს, გზაში გარდაიცვალა.  
უცნობს. ოქვენი „ზარადა“ რომ დაგვებეჭო  
უკვი „ცნობილი“ იქნებოდით, მაგრამ ცნობი-  
ლი შეიძლება....

ბზის. რედაქციამ უნდა იცოდეს ვისზე სწერთ,  
რატომ სწერთ. ამ დაიბეჭდება.